

ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ზოგიერთი იშვიათი მცენარის
სახეობის საქართველოში შესაძლო გავრცელების კვლევა
ჰაბიტატების მოდელირებით

ნუგზარ ღვალაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია)

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ., მარინე მოსულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

საქართველო მდიდარია ეკონომიკური მცენარეებით, მათ შორის საკვები (კულტურული და ველური) მცენარეებით. საკვებ მცენარეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ე.წ. ფოთლოვან ბოსტნეულს (Leafy vegetables), როგორცაა: ისპანახი - *Spinacia* L., ჭარხალი - *Beta* L., სალათის ფურცლები - *Lactuca* L.. მსოფლიო მასშტაბით ძალიან დიდია დაინტერესება მეცნიერთა და მკვლევართა მხრიდან ფოთლოვანი ბოსტნეულის როგორც კულტურული, ისე მათი მონათესავე ველური სახეობების მიმართ. ფოთლოვანი ბოსტნეული ხასიათდება ცხიმების დაბალი შემცველობით. ხოლო ცილების, ვიტამინების (C, K), რკინის, კალციუმის, მაგნიუმის, კაროტინოიდების მაღალი მაჩვენებლებით. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ფლორაში წარმოდგენილი ფოთლოვანი ბოსტნეულის 4 ველური სახეობა: *Spinacia tetrandra* Steven, *Hablitzia tamnoides* M.Bieb., *Beta corolliflora* Zosimovie ex Buttler და *Lactuca viminea* (L.) J. Presl & C. Persl, რომლებიც კულტურული მცენარეების ველური მონათესავე სახეობები (Crop Wild Relatives) არიან. ეს ველური სახეობები წარმოადგენს კულტურული სახეობებისთვის “გენების წყაროს”, რადგან მათთან შეჯვარება აუმჯობესებს არამარტო ამ კულტურული მცენარეების გემოვნურ თვისებებს და მათ კვებით ღირებულებებს (ამდიდრებს მათ ვიტამინებით და მინერალებით), არამედ აძლიერებს გარემოს უაროფითი (ნიადაგის მჟავიანობა, გვალვა, ყინვა) ფაქტორების და დაავადებების მიმართ მათ გამძლეობას (რეზისტენტულობას). შერჩეული სახეობების საქართველოში გავრცელების შესახებ მწირი ინფორმაცია მოიპოვება, რადგან მნიშვნელოვანი კვლევები საქართველოს მასშტაბით ამ ველურ მონათესავე სახეობებზე არ ჩატარებულა. ნაშრომში წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული სახეობების გავრცელების შესაძლო არეალი საქართველოში. მოდელირება მოხდა GIS პროგრამის გამოყენებით, მხოლოდ სამი ძირითადი შრის (სიმაღლე ზღვის დონიდან, ტემპერატურა, ნალექიანობა) მიხედვით.